საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის პროცესი

COVID-19 პანდემია, საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევაა, რომელზე საპასუხოდ სახელმწიფომ შეიმუშავა და დანერგა მართვის კომპლექსური ღონისძიებები. თანმიმდევრული ნაბიჯების დაგეგმვის შედეგად, საქართველომ შეძლო ეპიდემიოლოგიური რისკების სტაბილურად შეკავება და ამავდროულად ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის შენარჩუნება. პანდემიაზე საპასუხოდ განხორციელებული საქმიანობა დადებითად შეფასდა მსოფლიოს ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ.

განხორციელებულ ღონისძიებებს შორის, სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს COVID-19-ის ვაქცინებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. COVID-19-ის ვაქცინების დროულად მიღებისა და მოსახლეობის აქტიური იმუნიზაციის დაწყების მიზნით, საქართველოს მთავრობამ, ჯერ კიდევ 2020 წლის ივლისიდან დაიწყო შესაბამისი მოქმედებები, რომელიც წარმოდგენილია მრავალეტაპიანი პროცესის სახით:



• 2020 წლის 4 ივნისს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ვაქცინების გლობალური ალიანსის მიერ, შეიქმნა „COVAX” პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ გლობალურ ინიციატივას, დაეხმაროს მოლაპარაკების პროცესში მთავრობებს და COVID-19-ის ვაქცინების მწარმოებლებს, რათა ყველა ქვეყანამ, განურჩევლად მისი შემოსავლისა, მოიპოვოს COVID ვაქცინა.

• 2020 წლის 2 ივლისს, საქართველოს მთავრობამ „COVAX“ პლატფორმისგან ოფიციალურად მიიღო თანამშრომლობის წინადადება, რის შემდეგაც ივლისისა და აგვისტოს თვეების განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები პლატფორმის წევრობისთვის საჭირო პირობების შესახებ.

• 2020 წლის 31 აგვისტოს, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, „COVAX“ პლატფორმას ოფიციალურად ეცნობა დასტური თანამშრომლობის შესახებ.

„COVAX“-გან ხელშეკრულების პროექტის მიღება

„COVAX“-თან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება

ვაქცინაციის უწყებათაშორისი საბჭოს უწყვეტი მუშაობა ვაქცინაციის გეგმის მომზადებაზე



საქართველოს „COVAX“ პლატფორმის წევრობის შესახებ ცნობის გამოქვეყნება „GAVI”-ს მიერ

მოსახლეობის 20%-ის ვაქცინაციისთვის საჭირო დოზების შესყიდვის პირველი შენატანი

ვაქცინების დანერგვის ეროვნულ გეგმაზე მუშაობის დაწყება

• 2020 წლის 8 სექტემბერს,საქართველომ „COVAX“-გან მიიღო თანამშრმლობის ხელშეკრულების პროექტი.

• 2020 წლის 18 სექტემბერს, საქართველომ ოფიციალურად გააფორმა ხელშეკრულება „COVAX“ პლატფორმასთან.

• 2020 წლის 21 სექტემბერს, ვაქცინების გლობალური ალიანსის საინფორმაციო სამსახურმა გამოაქვეყნა ცნობა საქართველოს „COVAX“ პლატფორმაზე გაერთიანების შესახებ:

https://www.who.int/news/item/21-09-2020-boost-for-global-response-to-covid-19-as-economies-worldwide-formally-sign-up-to-covax-facility

Commitment agreements

As of 15 December 2020, the following countries have signed commitment agreements to the COVAX Facility*

Albania	Jamaica
Andorra	Japan
Antigua and Barbuda	Jordan
Argentina	Kuwait
Armenia	Lebanon
Australia	Libya
Azerbaijan	Malaysia
Bahamas	Mauritius
Bahrain	Mexico
Barbados	Monaco
Belize	Montenegro
Bosnia and Herzegovina	Namibia
Botswana	Nauru
Brazil	New Zealand
Brunei Darussalam	North Macedonia
Canada	Oman
Chile	Palau
China	Panama
Colombia	Paraguay
Costa Rica	Peru
Dominican Republic	Qatar
Ecuador	Saudi Arabia
Georgia	Serbia
Guatemala	Singapore
Iran	South Africa
Iraq	South Korea
Israel	St. Kitts and Nevis

COVAX Speed, Scale, Access 2

• 2020 წლის 8 ოქტომბერს, საქართველომ გადარიცხა 5.3 მილიონი აშშ.დოლარი, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის 20%-ის ვაქცინაციისთვის საჭირო დოზების შესყიდვის პირველ შენატანს. აღნიშნული ნაბიჯით, საქართველომ მიიღო საჭირო რაოდენობის ვაქცინების შერჩევისა და მოპოვების უფლება.

• 2020 წლის 20 ნოემბერს, 82 ექსპერტის მონაწილეობით დაიწყო COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვის ეროვნულ გეგმაზე მუშაობა. სწორედ აღნიშნული გეგმის მომზადება წარმოადგენდა ვაქცინების მომწოდებლების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას. ამავ-დროულად ჩამოყალიბდა ვაქცინების დანერგვის უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც ექსპერტებთან ერთად 2021 წლის იანვრამდე აქტიურად მუშაობდა ვაქცინების ეროვნული გეგმის მომზადებაზე.

• 2021 წლის 21 იანვარს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით (21/01/2021 №67განკარგულება) დამტკიცდა COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმა. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5084798?publication=0 გეგმის მომზადების ფინანსური ხელშეწყობა განხორციელდა აზიის განვითარების ბანკისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

• 2021 წლის 18-27 იანვრის პერიოდში, განხორციელდა ვაქცინაციისთვის ქვეყნის მზაობის შეფასება. პროცესი მოიცავდა ვაქცინაციის განხორციელებისთვის დადგენილი პირობების შესრულებისთვის ისეთი კომპონენტების შეფასებას, როგორიცაა დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსები, ტექნიკური მზაობა, ცივი ჯაჭვის განსაკუთრებული პირობების დაცვის შესაძლებლობა და სხვა.

• 2021 წლის 28 იანვარს, ვაქცინაციისთვის საქართველოს მაღალი დონის მზაობა დაადასტურა ვაქცინების გლობალური ალიანსის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და „COVAX“-ის კომისიამ.

• 2021 წლის 29 იანვარს, საქართველომ „COVAX“-გან მიიღო დასტური „ფაიზერი“-ს 29250 დოზის თებერვლის თვეში, ხოლო „ასტრაზენეკა“-ს, სულ მცირე, 184 800 დოზის პირველ და მეორე კვარტალში ეტაპობრივი მოწოდების თაობაზე. ვაქცინების მიღებაზე სამინისტრომ დაადასტურა მზაობა.

სამინისტროსა და „COVAX”-ს შორის კომუნიკაცია „AstraZeneca”-ს ვაქცინების მოწოდების პირობების შესახებ:



სამინისტრო „COVAX“-ს უბრუნებს ხელმოწერილ ცვლილებას

„COVAX“ აგზავნის მითითებას „UNICEF“-ის მექანიზმით შესყიდვის შესახებ

სამინისტრო „COVAX“-გან იღებს შეტყობინებს შეთანხმებაში ცვლილებების შესახებ

„UNICEF“ გზავნის წერილს შემდგომი ეტაპების შესახებ

„COVAX“ აგზავნის შეთანხმებას ანგარიშურების და პასუხისმგებლობების შესახებ

„COVAX“ აგზავნის განახლებულ ინფორმაციას მოსაწოდებელი ვაქცინების თაობაზე

სამინისტრო აგზავნის ხელმოწერილ შეთანხმებას ანგარიშურებისა და პასუხისმგებლობების შესახებ

„UNICEF“ ადასტურებს მზაობას შესყიდვის ორდერის გადაცემისთვის

სამინისტრო „ასტრაზენეკასგან” იღებს ორმხრივად ხელმოწერილ შეთანხმებას

• 2021 წლის 8 თებერვალს, სამინისტროს „COVAX“-გან ეცნობა დამატებითი მოთხოვნების შესახებ. კონკრეტულად: „COVAX“ ითხოვს შეთანხმების ცვლილებას, რათა დაზუსტდეს, რომ „COVAX“ -თვის აღიარებული ვაქცინა ნიშნავს, მხოლოდ „ჯანმოს” მიერ აღიარებულს. ასევე, მიუთითებს, რომ „ფაიზერისგან” სიახლეს ელოდება და აგზავნის შესყიდვების ზოგად ინსტრუქციას.
• 2021 წლის 10 თებერვალს, სამინისტრომ დააბრუნა ხელმოწერილი ცვლილება, რომლის მიღება დაადასტურა „COVAX“-მა.
• 2021 წლის 12 თებერვალს, „COVAX“-ის მიერ სამინისტროს გამოეგზავნა მითითება, შესყიდვა აწარმოოს „UNICEF“-ის მექანიზმით, რამდენადაც პირდაპირი შესყიდვა გამოიწვევდა მოწოდების დაგვიანებას. სამინისტრომ დაადასტურა „UNICEF”-ის მექანიზმის გამოყენებაზე თანხმობა.
• 2021 წლის 15 თებერვალს, „COVAX“-ის მეირ სამინისტროს გამოეგზავნა შეთანხმება ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობების შესახებ (Indemnity and Liability Agreement).
• 2021 წლის 17 თებერვალს, სამინისტრომ მთავრობასთან შეთანხმებით ოფიციალურად გაგზავნა ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ხელმოწერილი შეთანხმება, „ასტრაზენეკას” მხარის მიერ ხელმოსაწერად.
• 2021 წლის 19 თებერვალს, სამინისტრომ მიიღო „UNICEF“-ის წერილი შემდგომი ეტაპების თაობაზე. კერძოდ: ორმხრივად ხელმოწერილი შეთანხმება ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობების შესახებ (Indemnity and Liability Agreement); ასევე, მარეგულირებლის თანხმობა იმპორტის თაობაზე.
• 2021 წლის 24 თებერვალს, სამინისტრომ „ასტრაზენეკასგან” მიიღო ორმხრივად ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეგზავნა „UNICEF“-ს. ასევე, გადაიგზავნა მარეგულირებელი სააგენტოს დასკვნა რეგულატორული მზაობის თაობაზე.
• 2021 წლის 25 თებერვალს, „UNICEF“-მა დოკუმენტური მიმოხილვის საფუძველზე დაადასტურა მზაობა შესყიდვის ორდერის გამოცემისთვის. თუმცა, აღნიშნა, რომ ელოდებოდა „ასტრაზენეკასგან” დოზების დადასტურებას.
• 2021 წლის 26 თებერვალს, „COVAX“-ის მიერ გადმოიგზავნა განახლებული ინფორმაცია საქართველოსთვის მოსაწოდებელი ვაქცინების თაობაზე. სამინისტრომ აწარმოა კომუნიკაცია „UNICEF“-თან შესყიდვების დასაწყებად. შესყიდვის პროცედურა ითვალისწინებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ შესყიდვის განხორციელებას, „UNICEF“-თან არსებული მემორანდუმის ფარგლებში.

სამინისტროსა და „COVAX“-ს შორის კომუნიკაცია „PFAIZER”-ის ვაქცინების მოწოდების პირობების შესახებ:

სამინისტრო „COVAX“-გან იღებს შეტყობინებას შეთანხმებაში ცვლილებების შესახებ

სამინისტრო „COVAX“-ს უბრუნებს ხელმოწერილ ცვლილებას

„COVAX“ აგზავნის მითითებას „UNICEF”-ის მექანიზმით შესყიდვის შესახებ

სამინისტრო „FEDEX”-ით იღებს „ფაიზერის” მიერ ხელმოწერილ გაუთქმელობის ხელშეკრულებას. სამინისტრო იმავე დღეს ელექტრონულად გზავნის ხელმოწერილ დოკუმენტს

„COVAX“ გზავნის განახლებულ ინფორმაციას „ფაზერის” მიერ, დამატებითი მოთხოვნების შესახებ და ითხოვს სატელეფონო კომუნიკაციას

იუსტიციის სამინისტრომ გასცა ცნობა, რომ Indemnity and Liability Agreement-ის პირობები მისაღებია არბიტრაჟის კუთხით. ცნობა გაიგზავნა „COVAX“-თან და „ფაიზერთან”

• 2021 წლის 8 თებერვალს, სამინისტროს „COVAX“-გან ეცნობა დამატებითი მოთხოვნების შესახებ. კონკრეტულად: „COVAX“ ითხოვს შეთანხმების ცვლილებას, რათა დაზუსტდეს, რომ „COVAX“- თვის აღიარებული ვაქცინა ნიშნავს, მხოლოდ „ჯანმოს” მიერ აღიარებულს. ასევე, მიუთითებს, რომ „ფაიზერისგან” სიახლეს ელოდება და აგზავნის შესყიდვების ზოგად ინსტრუქციას.

• 2021 წლის 10 თებერვალს, სამინისტრომ დააბრუნა ხელმოწერილი ცვლილება, რომლის მიღება დაადასტურა „COVAX“-მა.

• 2021 წლის 12 თებერვალს, „COVAX“-ის მიერ სამინისტროს გამოეგზავნა მითითება, შესყიდვა აწარმოოს „UNICEF”-ის მექანიზმით, რამდენადაც პირდაპირი შესყიდვა გამოიწვევდა მოწოდების დაგვიანებას. სამინისტრომ დაადასტურა „UNICEF”-ის მექანიზმის გამოყენებაზე თანხმობა.

• 2021 წლის 19 თებერვალს, სამინისტრომ „FEDEX“-ით მიიღო „ფაიზერის” მიერ ხელმოწერილი გაუთქმელობის ხელშეკრულება. სამინისტრომ იმავე დღეს გადაგზავნა ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც 20 თებერვალს ასევე გაიგზავნა ფოსტით.

• 2021 წლის 23 თებერვალს, სამინისტრომ „COVAX“-გან მიიღო განახლებული ინფორმაცია „ფაიზერის” მიერ დამატებითი მოთხოვნების თაობაზე და ასევე მითითება სატელეფონო კომუნიკაციის აუცილებლობის თაობაზე.
იუსტიციის სამინისტრომ გასცა ცნობა, რომ ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობების შესახებ შეთანხმების (Indemnity and Liability Agreement) პირობები მისაღებია არბიტრაჟის კუთხით. ცნობა გაიგზავნა „COVAX“-თან და „ფაიზერთან”. ხელშეკრულების პირობები შეთანხმებულია მთავრობასთან და გაგზავნილია „COVAX“-ში / „ფაიზერის” ოფისში საბოლოო ფორმალიზაციისთვის.

„COVAX“ აქვეყნებს, რომ საქართველო მაისის ბოლომდე მიიღებს „ასტრაზენეკას” 129 600 დოზას

ანგარიშსწორება დასრულდა „NCDC”-ის მიერ



სატელეფონო კონსულტაცია ფაიზერს, სამინისტროსა და „COVAX“-ს შორის, პასუხის-მგებლობის, ფინანსური დაზღვევის დეტალების და ვაქცინის მოწოდების ვადების შესახ

სამინისტრომ მიიღო დასტური მარტის ბოლომდე „ფაიზერის” დოზების მიღების შესახებ

- **2021 წლის 2 მარტს**, „COVAX“-ის მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „ასტრაზენეკას” გასანაწილებელი დოზების შესახებ, რომლის თანახმად ქვეყანა მაისის ბოლომდე მიიღებს 129 600 დოზას. ამავდროულად დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ დასრულდა აღნიშნული დოზების მიღებისთვის საჭირო ანგარიშსწორება.

- **2021 წლის 5 მარტს**, ჯანდაცვის სამინისტროს, „ფაიზერსა“ და „COVAX”-ს შორის შედგა სატელეფონო კომუნიკაცია პასუხის-მგებლობის, ფინანსური დაზღვევის დეტალების და ვაქცინის მოწოდების ვადების შესახებ. სამინისტრომ მიიღო დასტური 22 მარტის კვირაში „ფაიზერის” ვაქცინების მიღების შესახებ.

- **2021 წლის 10 მარტი -** სამინისტროს „UNICEF”-ის და „WHO”-ს მიერ, ოფიციალურად ეცნობა „ასტრაზენეკას” წარმოების ვაქცინების პირველი პარტიის, 43 200 დოზის 13 მარტს საქართველოში ჩამოსვლის შესახებ.

- **2021 წლის 11 მარტი -** ჯანდაცვის მინისტრის მიერ გამართულ ბრიფინგზე, საზოგადოებას ეცნობა ვაქცინების პირველი პარტიის ჩამოსვლის თარიღისა და ვაქცინაციასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

- **2021 წლის 13 მარტი -** საქართველოში ჩამოვიდა „ასტრაზენეკას” ვაქცინების პირველი პარტია - 43 200 დოზა.

- **2021 წლის 15 მარტი -** COVID-19-ის ვაქცინების დანერგვის ეროვნული გეგმის შესაბამისად, საქართველოში დაიწყო სამედიცინო პერსონალის ვაქცინაცია.